ხელშეკრულება № 01-05/1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 10.01, 2018 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის **მამუკა ბერიძის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2 200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: „პროგრეს გრუპ“ წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსანდრე ტატუნაშვილის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის №46;
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი“, კოდი: TBCBGE22, ანგ. № GE17TB7024036020100014
საიდენტიფიკაციო კოდი 404865151

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის 2018 წლის 10 იანვრის N17094 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს [1]” ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანია 1 ერთეული **ყვავილების თაიგულის და ერთი ყვავილების გვირგვინის (CPV: 03121210)** შესყიდვა (ქართველი ისტორიკოსის და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის მარიკა ლორთქიფანიძის ხსოვნის პატივსაცემად), რომელთა აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **265.00 (ორასსამოცდახუთი)** ლარს.
3.2 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ერთეულის ფასები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

N	დასახელება	შესყიდვის ობიექტის აღწერილობა	ღირებულება
1	ყვავილების თაიგული	გამწვანება/შეფუთვა 1 (10,00 ლარი); 5ც ვარდი (25.00 ლარი); 3ც ქრიზანთემა (21.00 ლარი); 3ც გიფსოფილა (18.00 ლარი) 1ც ლიმონიუმი (6.00 ლარი)	80,00
2	ყვავილების გვირგვინი	გამწვანება/შეფუთვა 2 (20,00 ლარი); 8ც ვარდი (40.00 ლარი); 10ც ქრიზანთემა (70.00 ლარი); 3ც გიფსოფილა (18.00 ლარი) 2ც ლიმონიუმი (12.00 ლარი); ატლასის ლენტი (25.00 ლარი).	185.00
	სულ:		**265.00 ლარი**

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
4.5 დაფინანსების წყარო: 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 8.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.
5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) უფროსი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 10 და 11 იანვარს.
6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მოაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. იგი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე;
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია: უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:
8.1.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით.
8.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საპროტოკოლო ღონისძიებათა მოწყობის სამმართველოს უფროსი **თამარ ესაკია-სალიბეგაშვილი.**

9 . ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.2 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

9.3 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.5 იმ შემთხვევაში როდესაც საქართველოს კანონდებლობით განისაზღვრება იმგვარი პირობა რითაც ერთერთი მხარე ვეღარ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

11.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 11 თებერვლის ჩათვლით.

15. ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

მხარეები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	**შპს „პროგრეს გრუპ“**
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ფ/შ **მამუკა ბერიძე**	დირექტორი **ალექსანდრე ტატუნაშვილის**
---	---

10 იანვარი, 2018 წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს ,,პროგრეს გრუპ"-ს შორის ყვავილების თაიგულისა და გვირგვინის შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად ვაკმაყოფილებთ კანონის ამ მოთხოვნას და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარებაზე ხელმომწერი პირი:

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი

ნინო ნანიკაშვილი _____

კონტროლის განმახორციელებელი პირი:

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საპროტოკოლო ღონისძიებათა მოწყობის

სამმართველოს უფროსი

თამარ ესაკია-სალიბეგაშვილი _____

მიღება–ჩაბარების აქტი №01-05/1

ქ. თბილისი **11 იანვარი, 2018 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) უფროსის ნინო ნანიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ "მიმწოდებელი", შპს „პროგრეს გრუპ", წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ტატუნაშვილის სახით,

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 10 იანვარს გაფორმებული №01-05/1 ხელშეკრულების თანახმად "მიმწოდებელმა", 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101) დაფინანსების ფარგლებში, უზრუნველყო 1 ერთეული **ყვავილების თაიგულის და ერთი ყვავილების გვირგვინის** (ქართველი ისტორიკოსის და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის მარიკა ლორთქიფანიძის ხსოვნის პატივსაცემად) მიწოდება საერთო ღირებულებით **265,00 (ორასსამოცდახუთი) ლარი. მათ შორის:**

N	დასახელება	შესყიდვის ობიექტის აღწერილობა	ღირებულება
1	ყვავილების თაიგული	გამწვანება/შეფუთვა 1 (10,00 ლარი); 5ც ვარდი (25.00 ლარი); 3ც ქრიზანთემა (21.00 ლარი); 3ც გიფსოფილა (18.00 ლარი) 1ც ლიმონიუმი (6.00 ლარი)	80,00
2	ყვავილების გვირგვინი	გამწვანება/შეფუთვა 2 (20,00 ლარი); 8ც ვარდი (40.00 ლარი); 10ც ქრიზანთემა (70.00 ლარი); 3ც გიფსოფილა (18.00 ლარი) 2ც ლიმონიუმი (12.00 ლარი); ატლასის ლენტი (25.00 ლარი).	185.00
სულ:			**265.00 ლარი**

265,00 (ორასსამოცდახუთი) ლარს.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ——————————————————————

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

265,00 (ორასსამოცდახუთი) ლარს.

მოწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს ——————————————————

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ჩააბარა:

შპს „პროგრეს გრუპ"-ის დირექტორი /ა. ტატუნაშვილი/

მიიღო:

ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) უფროსი /ნ. ნანიკაშვილი/